

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა
და გაწვევის სამსახურის მიერ განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების“ შესაბამისად.

2018 წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან სასწავლო დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და წარმოებებიდან, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 16 წელს მიღწეული ჭაბუკების აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე, საერთო ჯამით 106 ჭაბუკის. შეიქმნა თითოეულ მათგანზე პირადი საქმეები.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 25 იანვრის N 36 დადგენილების საფუძველზე, მუნიციპალიტეტის გამგებლის 2018 წლის 06 თებერვლის N 49191 ბრძანებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018წ 26 იანვრიდან 30 ივნისამდე მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა აწარმოა მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სანხედრო სამსახურს 2018 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განუსაზღვრა 24 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მოხდა სამხედრო სამსახურის მიერ გამწვევ კომისიაზე 159 წვევამდელის გამოცხადება. აქედან კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისგან განთავისუფლდა 14 წვევამდელი. გადავადება 30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო 118-მა წვევამდელმა. 27 წვევამდელი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 8 აგვისტოს N 408 დადგენილების შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 10 აგვისტოს 2018 წ N 491334 ბრძანების საფუძველზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2018 წლის 13 აგვისტოდან 29 დეკემბრამდე ჩატარდა მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურს 2018 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განესაზღვრა 21 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საშემოდგომო გაწვევის განვლილ პერიოდში მოახდინა რაიონულ გამწვევ კომისიაზე 158 წვევამდელის გამოცხადება. აქედან კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 6 წვევამდელი. გადავადება 30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო 127 წვევამდელმა. 25 წვევამდელი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავდაცვის რეზერვში გადაირიცხა 133 რეზერვისტი, მათ შორის : ზღვრული ასაკის გამო 64, ავადმყოფობის გამო 15, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოვლის გამო 54. შედგენილია მათზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები და განთავსებულია შესაბამის კარტოთეკაში.

სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 19 მოქალაქე, შედგენილია მათზე პირადი საქმე ორ ეგზემპლარად.

ზღვრული ასაკის (50 წელი) შესრულების გამო აღრიცხვიდან მოიხსნა 105 რეზერვისტი, მათი სააღრიცხვო ბარათები განთავსდა შესაბამის არქივში.

2019 წლის დასაწყისში სამსახურის მიერ სხვადასხვა უწყებებიდან მოთხოვნილი სიებისა და ინფორმაციის საფუძველზე აყვანილია პირველად აღრიცხვაზე და შექმნილია პირადი საქმეები 126 ჭაბუკზე.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის #12 დადგენილებისა და მუნიციპალიტეტის მერიის 05.02. 2019 წლის #49206 ბრძანების საფუძველზე 2019 წლის 1 თებერვლიდან 29 ივნისამდე მიმდინარეობს საგაზაფხულო გაწვევა. გეგმა გრაფიკით დავალებული გვაქვს 19 წვევამდელის ჩაირიცხვა სხვადასხვა დანაყოფებში, დღეის მდგომარეობით ჩაირიცხა 6 წვევამდელი. მიმდინარეობს მუშაობა დავალების შესასრულებლად.